

ნაშადურნი



№ 19. **ყოველკვირეული ჟურნალი** — 1907 წ.

შესანიშნავი სურათები.

2067



ოცნების მორევში, მარტინის ჩახსტი.


დედა და შვილი (ქრისტეს შობა).

დღეს ქრისტესი უბოძა არის —
 ცოდვით ქვეყნათ, მოვლინება:
 გაიხარეთ ვისაცა ვწახთ,
 მისი დიდი, წმინდა მცნება!

ქრისტე იყო მტანჯველი ქრე-
 რი, — მტრე-
 ტანჯული, დევნილით სასოება,
 მან დასდესა ამა ქვეყნადობა
 სიმაჩუღე და ნეტარება!

მაშუადღეს, არა ქრისტეს შობა,
 ამა ქვეყნათ მოვლინება
 და იხარეთ: ვისაცა გწამთ
 მისი დეაწლი, მისი მცნება!
 ი. მჭედლი შვილი.





შვეიცის მეფე ოსკარ მეორე, როგორც პოეტი.

ნოემბრის 25-ს, ქ. სტოკჰოლმში გარდაიცვალა შვეიცის მეფე ოსკარ მეორე, რომელიც ცნობილი იყო, როგორც მართალი კაცი, სწორი მართლმსაჯული და აგრეთვე მექონე ლიტერატურულის ნიჭისა, რომელიც მის საუცხოვო ლექსებში გამოიხატა.

ოსკარ მეორე დაიბადა 1829 წელს. ოსკარს უყვარდა ზღვა და 12 წლის ბავშვი უკვე მეზღვაურ კადეტთა შორის ირიცხებოდა.

ოსკარს აღმზრდელათ და მასწავლებლათ მიუჩინეს გამოჩენილი მეზღვაური კრუზენშერნი. მეფე ოსკარი სხვათა შორის თავის აღმზრდელ-მასწავლებელს მიმართავს შემდეგი ლექსით:

გმადლობ, მოხუცო! იძინე მშვიდათ!!
 მეზღვაურებს კვლავ შენ ექმნი ხიდათ—
 და შენსა სახელს სიკვდილამდისინ
 აღიბეჭდავენ თვის გულში წმიდათ!..

ოსკარ მეორე 42 წლისა იყო, როცა სამეფო ტახტზე ავიდა. თუ რამდენათ მტკიცე იყო ოსკარის სიყვარული ზღვისადმი ეს სჩანს ამ ლექსიდან, რომელიც მან თავის გემს უძღვნა:

დღეს ჩვეულებრივ შენი ძველი ნამეგობრალი,
 კვლავ მღელვარე შენს წინ ვდგევარ და პატივსა
 | გცემ,
 თვალწინ მიდგება შენთან ვლილი დრო სანეტარო
 და შენს წინაშე გულმწუხარე თვალთგან კრემლს
 | ვაფრქვევ!..

ამასთანავე ოსკარ მეორე პატრიოტიც იყო, რაც მტკიცდება მისი ლექსიდან:

კლდე და ტყეთ შორის, უსაზღვრო ველზე
 წინაპართ რწმენას გაუდგამს ფე'ვი,—
 რომ არსათ არის გულადი შევღებ
 და ღვთაებაზე უძლიერესი;
 შევდთა დროშები ითხოვს კვლავ ბრძოლას
 და ენც ჩვენს მტრობას გულში გაიწლებს—

ის თვის სიცოცხლის უკანასკნელ წამს ზღვის ტალღებ შორის უმაღლეს მთებზე ჩვენ სანიმუშოთ მოგვყავს სულოდ მიხუროდა ორი ლექსი.

მ შ ვ ი დ ო ბ ი თ.

ღამის წყვილადში შორს, შორს გამოჩნდა აღმოსავლეთით რაღაცა შუქი, ეს იყო შუქი ჩვენის ქვეყნისა ზღვის იქით განქრა, როგორც პატრუქი.

და თვითეული ზღვის მორევ-ტალღას, ჩემი ქვეყნისკენ, რომ იკვლევს გზასა მე მას ვაბარებ, ჩემო ქვეყნავ, შენთან მეგობრულ და ძმურ სალამსა!..

ჩემო სასახლევე, შენც გიძღვნი სალამს, შენს კედლებ შორის მე ვიზრდებოდი, მანდ ვოცნებობდი; მანდ ვიმღეროდი, ბედნიერ წამებს უგალობებდი;

აწ კი ბურუსით გარემოცულსა, შენსკენ მომაფრენს გიჟი ოცნება, დაგეძებ შენა და რომ მოგიძღვნა ტკბილი სალამი, მომეცი ნება!..

დეე, დამცინონ, მისაყვედურონ, ვითომც სხვა ქვეყნის ნახვის სურვილმა მე გამიტაცა, მიტომც-ღირს არ ვარ, რომ ჩემს მამულსა მოვხედოა შევილმა;

მაგრამ მათ რომ ის კარგათ იცოდენ, ვითარ განვიციდი ტანჯვა წამებას, არ ქონდათ ნება, არც ინებებდენ ხალხისა თვალში ჩემს დამცირებას!..

მაშინ ჩემსავებრ შეიყვარებდენ სამშობლო მხარეს და იმის ერსა და თუ მის ნახვას ეღირსებოდენ— სამშობლოს სძღვნიდენ მშობლიურ ხმებას!..

და მე შორს მყოფს კი სიმნი მიწყდება აწ აღარ ძალმიძს ამის მოთმენა, ჩემთვის სამშობლოს წვრილი ბილიკიც ძვირფასი არის ისე, ვით ზენა!!!..

სამშობლო მხარევე, იყავ მშვიდობით, ამიყვავილდი და გაძლიერდი, გრწამდეს, ბედმა რა ხვედრიც მარგუნოს მაინც ძვირფასი ჩემთვის იქნები!!.

სამშობლოვე! შენით მე ვამაყობდი, შენა გმონებდი სულიდ და გულით აწ კი მშვიდობით, ჩემო სამშობლოვე, სამშობლო მხარევე, იყავ მშვიდობით!!!..

ო ჰ, ი მ დ ე რ ე!

ოჰ, იმღერე! დაჰკა სიმებს, ყველაფერზე, რაც რომ გულში გიღვივებდა სიცოცხლესა და გწვდებოდა გრძობით სულში,— როს ცხოვრების ქარიშხალსა იყავ ჩამოშორებული



და ბედს მდაბლათ ქედს უბრიდი,
საესე გქონდა შხამით გული!..

ოჰ, იმღერე! რომ წყვილიაღში
შენ უშიშრათ დადიოდი,
ხან უბრალო ცხოვრებასა,
ხან ლხინობდი, ხან სტიროდი;
ან და როგორ ოცნებობდი,
თავისუფლათ როგორ მღერდი,
მყუდროების ნავთსაყუდელს
შენთან ახლოს ოდეს მზერდი!..

ოჰ, იმღერე! ვით ტალღანი
მთვარის შუქზე ეღვარებდენ
და სამშობლო ქვეყნისაკენ
ზვირთ-მჩქეფარე ისწრაფოდენ;
შენს ფიქრებს და შენს სიმღერას
ვითა ნიავს აქროლებდენ!

ოჰ, იმღერე! ვით ჰქენჯნიდა
შენს გულს სევდის კაემანი
როს შენ აპყევ მას უშიშრათ,—
ჰპოვე მათი გზა და კვალი
და ჭაბუკურ სიმამაცით
ვაჟკაცური მისწრაფებით
დაყურებდი ბრძოლის ველსა—
საესე იყავ იმედებით.

ოჰ, იმღერე! და თუ არა
ერთხელ მაინც დაიკვნესე,
და წარსულის მოგონებით
ივაგლახე და იკვნესე,—
და შენც, მუზავ, ყველა ამას
დუმილიდა შეეყარე
და მის საკურთხევლის წინა
მწუხარების ტრემლი ღვარე!..

ოჰ, იმღერე! გლოვის ჰანგით,
როგორ ქროდა ქარიშხალი
და ბინდი ვით გადგეფარა
რომ სინათლე გექმნა მქრალი?!
ჰაეროვან შენს ციხე-კოშკს,
ვით დაბერა მძლავრმა ქარმა
და ვით ჟამსა განთიადის
გაანათა დღის ცისკარმა.

ოჰ, იმღერე! ეს სიმღერა,
რადგანც არის დასასრულის,
შეთანხმე მწყობრათ ხმები,
ხმები, ლხენა სიხარულის.
რომ იმ მღვთიურ ჰარმონიაში
დაავიწყოს მგოსანს ვნება
და მის ნაცვლათ დაუმკვიდროს
ზეციური მყუდროება.

P. S. მეფე ოსკარ მეორე დიდის აზბით დასა,
ფლავეს ქ. სტოკოლმში ამ ქრისტეშობის. 7.

ტ უ ს ა ლ ი.

მარად ვნატრობდი ბედის სიახლოდენ,
ის ღმეროდ მყვანდა მე დასახულოდენ,
ერთგვარ ცხოვრებამ, ტანჯვაში ყოფნამ,
შემიფიწროვა სული და გული.

ნატვრაც მომწყინდა... ხელთ ვიპყარ ხმალი,
(ჩვენ მტანჯველთ მიზანს ხმლით მიახწიეს.)
მაგრამ დაწყევლილ ბედის მწერლებმა,
საპყრობილენში გამომამწყვდიეს.

და გამიხლდა ტანჯულსა ბედი,
ფეხთ გამიყარეს მძიმე ხუნდია;
ნურავინ იტყვის ახლის სიტურფეს,
ზოგჯერ ახალი ძველზე ცუდია!

ი. მჭედლოშვილი.

ა მ ა ო ო ო ლ ა.

ნეტავი ჩემი ბატონი
სანამ შემინახავს ტყვეთა,
ან თავის თავს რაღას არგებს
და ან მე რა გამიკეთა!

ტყვეობითა ის მამხნევეს,
ვაჟკაცობას მიორკეცებს,
თან მაზიზღებს თვის კანონებს.
და მის აღმსრულებელ მხეცებს...

ძალით თავს ბრუს ვერ დამახვეს,
ვერ მიაღწევს საწადელსა...
ტყვილად ცდილობს... აფათურებს
ჩემს სურვილში მურტალ ხელსა!..

გერი.

ფ ი ც ი.

(გუძღვნი ნ. ლომაურს).

ვფიცავ აბეზარს შურისძიებას
სათუთად შეზრდილს, შეზავებულსა;
მახვილ წვერიანს დაშხამულს ისარს,
მტრის მუხანათ გულს დამიზნებულსა;

ვფიცავ სამშობლოს, მისს მკერდს ნაწყლოლევს,
მი'ს მზეს, უღროვოდ დაბნელებულსა,
ვფიცავ კვლავ მის აღდგინების დღეს,
მისს ბედის ვარსკვლავს გაბრწყინებულსა!..

ვფიცავ სატრფოსა ჩემსას წარტყვევნილს,
მტრისგან დამწყვედეულს ცხრა-კლიტულშია;
ვფიცავ მისს ხსნის დღეს, მტყვევნილის მღუპველს,
ხანჯალს, გაყრილს მტრის ბოროტს გულშია.

ვფიცავ ქართველთა გმირთა ჰანთონს,
მათს ძელებს, მთებსა და ველს გაბნეულთა;
სახელოვან შვილთ უბადლო დედებს,
მამულის ტრფობით გატაცებულთა.

ქართველი
ბიზანტიანები



ფარნაოზს, ქართველთა გათანაბრებულ ერთა ერთსულს, ერთხორცად შემკავშირებელს; მირიანს, მოციქულთა თანატოლსა, ქრისტეს მოძღვრებით განმანათლებელს.



თამარს, ბრწყინვალე გვირგვინოსანსა, მარად უვიწყარს მშვენიერებას, ზღაპრულს ელენეს, ქართველთა გულთა მფლო-ბელს, ქვეყნად ცით მოსულს ძველსა ღვთაებას.



სპარსთა და ოსთა ძალის შემშუსკრელს ვახტანგს, მგელ-ლოჯად მას წოდებულსა, მარად სამშობლოს ერთგულსა ღირსსა, მარად მტერზედა ამხედრებულსა.



ფიცივე მგოსანთა უკვდავს მამამთავრს, მოსილს დიდების შარავანდედით, შოთას, პოემას მისას ღვთაებრივს, ხან ეშხით დამთარობს, ხან მომწყვლელს სევდით;



დიდებულს დავითს, ნანგრევებიდგან მძლავრის სამეფოს აღმშენებელს, დევს საარაკოს, მეფეს ბუმბერაზს, ქართველთა სახელის განმადიდებელს,



ბაგრატს, მანღულთა ძალის შემპყვეველს, კოკლი თემურის კრიკაში მღვდომსა, გენიოსს, არწივს, ფრთა-შეკვეცილსა, ომში უბადლოს, გმირთა-გმირს, ღმრთსა. გიორგ ბრწყინვალეს, ცერაგთა სამოაგმელს, სათნო დიმიტრის თავდადებულსა,

ქეთევანს, სისხლმსმელ აბაზის მიერ,
 მამულის ტარიგად შეწირულსა;
 დიდსა მოურავს, სამშობლოს მონას,
 მისს ერთობისთვის თავის დამდებსა,
 აბაზის ტახტის შემრყევს, ოსმალთგან
 გაღმერთებულსა ცხრათავა დევსა!



და სათაყვანო პატარა კახსა,
 ვერაგ მოყვისგან გაცემულს გმირსა,
 სპარსთა და ოსმალთ სიკვდილის ღმერთსა,
 უკურნებელსა დადესტნელთ ჭირსა!

და უხვს ლეგიონს ძვირფას წინაპართ,
 თავისუფლებისთვის მსხვერპლად შეწირულთ;
 სამშობლოს ზღაპრულს ისტორიასა,
 ტყვეთქმნილთა, ტკბილს მამულს დაშორე-
 ბულთ!

ფიცავ სანატრელს თავისუფლებას...
 გაცისკროვნებულს ტურფა იდეალს,
 მის მომლოდინეს დაავადებულს,
 მწიერს ჩემს მოძმეს, შრომით დამაშვრალს!

შერცხვეს ის გული, მათს ხსენებაზე
 თუ ძველებრ, მათებრ, არ ათრთოვდება.
 წინაპართ სულსწრაფევა, სისხლით რწყული
 ტურფა მამული ვისცავიწყდება!

ანტონ დარჩიაშვილი.

მ ი ს ი ბ რ ა ლ ი ა ?

— სხვა გზა არა რის! უნდა ქვა ავილო ხელ-
 ში, ხან აქედან შემოვიკრა თავში და ხან იქილამ...

— რაო, რა ამბავია?! გინ გაგაჯავრა?! აჰა,
 ციფ წყალი...

ასეთი სიტყვებით დაარღვიეს ჩუმი სიარული
 ვლასა და პეტრემ, რომელთაც ძალზე გახუნებუ-
 ლი ტანისამოსი ნათლად მოწმობდა, რა ქონებისა
 და შეძლების პატრონებიც იყვნენ.

— როგორა გგონია, ქვა რომ შემოვიკრა თავ-
 ში ხელებს დაგიჭერ?! არა, ხელებს კი არ დაგი-
 ჭერ და იქნება მოგემველო კია! ხუმრობით გა-
 ნაგრძო ვლასამ.

— შენმა თავის გახეთქამ, შენ სომარა ვაქვს
 თავი მოსაკლავი და...

— რას იზამ, ძმაო პეტრე, იქნება ხუმრობით
 მაინც დავივიწყოთ სულის წუხილი და კუჭის წვა.

— ეჰ, ვლასავ, ვლასავ, ჭირს ვერაფრით ვერ
 დამალავ; რაც უნდა დამალო ის მაინც თავის
 თავს არ დამალავს, უთხრა პეტრემ ვლასას ღრმა
 ამოხვრით.

— ეს არის ქარხნის მუშის ბედი—დაიწყო
 ვლასამ.—მუშაობ, მუშაობ, დღე და ღამეს ასწო-
 რებ, მაგრამ მაინც კუჭს ვერ იძღობ. თუ კიდე
 გაბედე და მექარხნეს შრომის ფასის მომატება მოს-
 თხოვე, მაშინ ვაი შენს თავს! ან სრულებით გამო-
 გიპანტრიშებს ქარხნილამ, როგორც ჩვენ გვიყვეს,
 ან ციხისაკენ გაგამგზავრებს, ან კიდევ სულ ტყუ-
 ილ-უბრალოთ დაითხოვს მუშებს, რადგანაც მუ-
 შებმა საქონელი ბევრი დაამზადეს და გასავალი კი
 საქონელს აღარა აქვს.

— ესეა ჩემო ვლასა, ესე... პური კი ძალიან
 მომშივდა... მუხლებიც მეკეცება, აღარც ფეხები
 მმორჩილდებიან... შენ დღეს გიჭამია რამე, ვლასა?

— გუშინდელს აქეთ მშიერი ვარ. გუშინ შემ-
 თხვევით შემიპატიჟა ღუქანში წინათ ჩვენთან რომ
 ახალგაზრდა ბიჭი მუშაობდა, პოლიქტორა, მაგრამ
 ვერაფერი ჭამა იყო კუჭი ისევ მეწვებოდა... მში-
 ან... ლამის გავგიჟდი!..

— მეც ხან ვისთან მივალ სტუმრათ და ხან
 ვისთან, იქნება პური მაქამონ მეთქი... მაგრამ ცოლ-
 შვილის ცოდვით ყელში კი არ ჩადის და... მარ-
 თლა, შენ რითი არჩენ შენს ცოლშვილს?!

— ჩემი ცოლშვილი ღმერთს აბარია... დიდი
 შესანაია მე იქ აღარ მივსულვარ.

— აი, მგონი, ეს არის ქარხნის „კანცელა-
 რია“...

— ჰო, ეს არის... შევიდეთ... ორივემ შეირ-
 ბინეს ქარხნის „კანცელარიის“ კიბეზე.

— მექარხნის ნაცვალი რომელია? ჰკითხა
 ვლასამ ერთ ყმაწვილს, რომელიც მაგიდასთან იჯ-
 და და რაღაცასა სწერდა.


— რა გინდათ?.. აი ეს არის ნაცვალი და
 უცნობმა ვლასას მიუთითა ნაცვალზე, რომელიც
 გაზეთსა კითხულობდა.

— რისთვის მოსულხართ?! თავი მაღლა აიწია
 ნაცვალმა და ამაყად შეეკითხა ორთავეს.

— აი ეს მიიღეთ, გაუწოდა ვლასამ ნაცვალს და-
 კეცილი ქალაღდი, რომელიც ცოტა არ იყოს გა-
 თხუნული იყო.

— ეგ რა არის? შეეკითხა ნაცვალი ვლასას.

— თხოვნაა, მიუგო ვლასამ.
 — რაო, გვთხოვთ რომ ქარხნილამ მუშები და-
 ვითხოვოთ? დაეკითხა ვლასას ნაცვალი.



აკაკის.

(ნატალია ბაგაურის ლექსის გამოქ.)

ქრონოსული
ნიშაღური

— შე დალოცვილო, დათხოვნას კი არა მი-
ღებასა გთხოვთ... ლამის არის შიმშილით ამოვწყ-
დეთ ჩვენცა და ჩვენი ცოლშვილიც.

— რას ამბობთ? გუშინ პოლიციის დახმარე-
ბით ძლივს გავრეკე მუშები და დღეს თქვენ მიგი-
ღოთ?! არა, ჯერ-ჯერობით მუშები აღარ გვჭირიან.
ვლასა და პეტრე გულჩაწყვეტილები გამობრუნდენ.

— ეხლა სადღა წავიდეთ? ჰკითხა პეტრემ
ვლასას.

— აგერ აიმ ქარხანაში, აგერ შავი ბოლი
რომ ამოდის უჩვენა თითით ვლასამ.

— შე უტვინო, წელან იქ არ ვიყავით, რომ
ქიტლაყისკვრით გამოგვრეკეს?!

— დალახვროს ღმერთმა— შიმშილისაგან მე
კიდევ ველარა გიმიგია-რა... მაშ სადღა წავიდეთ,
როცა ყველგან ვიყავით და ყველგან გამოგვრეკეს?
ჰკითხა ეხლა თითქო თავის თავს პეტრემ.

— შინ! წამოიძახა ვლასამ.

— შინ თუ წახველ მე ვიცი მოხრაკულები
დაგხვდება!.. ან კი როგორ უნდა მიხვიდე პატარა
ბავშვების ცოდვით... ისინი გზაში მოგვეგებებიან,
ხელებში მოგცვივდებიან, თვალებით შეგჰკამენ...
როცა დარწმუნდებიან, რომ არაფერი მიუტანე
თვალეები ცრემლებით ავესებათ, შენდამი ზიზღი
აინთება მათს უცოდინარ გულში და შემოგბღავ-
ლებენ: „პული გვშიან და ლატო აღ მოგვიტა-
ნო“-ო. მაშინ რა პასუხი უნდა გაცე? არა!..
სჯობს ნუ ვნახავთ მათს საცოდაობას; ნურც და-
ვენახვებით მათ... იმას მაინც იტყვიან- „მამა ჩვე-
ნი მოკვდებოდა სადმე ქუჩაში, თორემ ლუკმა
პურს როგორ არ გაგვიჩენდა“-ო?!..

— მაშ სად წავიდეთ, თუ არა სახლში?.. სად
დავიხოცნეთ უპატრონოთ, შიმშილით, სთქვა ვლასამ.

— სხვა გზა არ არის, უნდა გავძარცვათ ვინ-
მე, უთხრა პეტრემ.

— რომ დაგვიჭირონ?

— ციხეში გვიკრავენ თავა... იქ ემჯობინება...

— ჩვენი ცოლ-შვილი?..

— ღმერთს ებაროს...

— მერე, ჩვენ არ ვკიცხავდით ქურდებს და
მძარცველებს?.. ეხლა კი თვით ჩვენ უნდა ჩავიდი-
ნოთ ის საზიზღრობა?..

— ჩვენი რა ბრალია!— ორთავემ საჩქაროთ
ჩამოიბრინეს მაღალი კიბე ქარხნის კანცელარიისა
და სწრაფად შეუხვიეს ვიწრო ქუჩაში— ლუკმა პუ-
რის საშოვნელად...

ი. მჭედლიშვილი.



აკაკის! ტკბილსა მგოსანსა,
რათ გაუტყდება გულია;
ცხადათ გრძნობს, მისი სახელი
ძღვევითა შემოსილია.

ილია მოჰკლეს. აკაკი
მით არის დაღვრემილია.
რა უყოთ, ყველა ერში არს
ბოროტი, ცოდვის შვილია!

ავის და კარგის ვერ მრჩევი,
აზრით, გონებით ბნელია;
პირადი სარგებლობისთვის
ძმის, ვერცხლზედ გამყიდველია.

თვითონვე ხედავს მგოსანი;
მოელი ქართველი ერია,
ილიას უღვთო სიკვდილით,
ცხარე ცრემლისა მღვრელია.

რომელ ქართველსაც გრძნობა აქვს,
უჭრის გონება, თვალთა
ყველა აღმერთებს აკაკის
მოხუცი, ყრმა და ჩვილია.

განა მოკვდება აკაკი?
და ანუ მოჰკლეს ილია?
მათ ხსოვნას, მარად თაყვანს სცემს,
ივერის შვილთა შვილია.

თუმცა არიან აქა-იქ,
ტრაბახნი, მეტიჩარნია,
ქართველთა მოდგმის შვილები
სამშობლოს მომძულარნია.

იმათ არათ უჩნს წარსულნი,
ქართველთ მოღვაწე გმირნია
და სულ სხვა ჰანგზედ მომართეს,
მათი უსირცხვო სტვირია.

ზედ დამღერიან: ვინ არის
მშობელი, დედა ტკბილია?
დედინაცვლის აღერსი სჯობს,
რომ უხამით მოწამლულია.

მაგრამ მსცოვანი მგოსანი,
კვლავ ააჟღერებს თვის ჩანგსა,
ლიმილით ნაღველს გალესავს
რეგვენების გონზედ მომყვანსა.


ვერ შეაშინებს ჭალარა,
გულად ლომს, ტკბილსა ხმოვანსა;
ვინ არ მოიხრის მის წინ ქედს,
ვინ მისცემს მგოსანს ზიანსა?..

იმერელი ქალი.

მათხოვრის ლეგენდა.

(რუსულიდან).

კვდებოდა მდიდარი, რომელმაც მთელი თა-
ვისი სიცოცხლე სიძუნწეში გაატარა და დიდძალი
სიმდიდრე მოიხვეჭა.



— როგორ შეიძლება,—იტყოდა ხოლმე ის, როდესაც კრიტიკობაზე ჩამოაგდებდნენ ლაპარაკს,— ცხოვრებაში ფული ყველაფერია,—ფული, ფული და სხვა ყველა ტყვილიაო.

და აი ახლა, როდესაც სიკვდილის უამრავი ახლოვდა, იმან იფიქრა:

— უთუოთ იმ ქვეყანაშიც ფული ყველაფერი იქნებაო. საჭიროა მოვიმზადო, რომ განსაცდელში არ ჩავარდეთ.

დაიბარა შეილები, გამოეთხოვა მათ და უბრძანა იმის კუბოში ფულებით სავსე ტომარი ჩადეთ.

— არ დაიშურეთ — დასძინა იმან — ბლომათ ჩამაყარეთ ოქრო.

მდიდარი იმ ღამესვე გარდაიცვალა.

შვილებმა სურვილი შეუსრულეს და კუბოში ჩაუწყვეს რამოდენიმე ათასი ოქრო.

მდიდარი ჩაუშვეს საფლავში და ის წარსდგა იმ ქვეყანაში. აქ მიმართეს ჩვეულებრივი შეკითხვებით სხვა და სხვა წიგნებში ჩასატანათ; ყველამ სათითაოთ გამოკითხა, შეამოწმა და მთელი დღის განმავლობაში არ მოასვენეს.

დაღამებისას ძლივსღა გაინთავისუფლა თავი. მგელივით დაიშა, წყურვილისაგან ნაქი გაუშრა და ყელი გაუხმა.

— დავილუბე მე საცოდავი—ფიქრობდა ის.

ამ დროს დაინახა საუკეთესო სასმელებითა და საკმელებით სავსე ბუფეტი, რომელიც სულ ერთიან ჰგავდა რკინის გზის კარგი სადგურის ბუფეტს. რა გინდოდა იქ რომ არ ყოფილიყო!

აი სად გამომადგა ჩემი გონიერება! როგორ სწორათ შემექნა მოფიქრებული: აქ მართლა ფული ისე საჭირო ყოფილა, როგორც დედა-მიწაზე რა ჭკუა მომივიდა, რომ ფული წამოვიღეო. ახლა გემოზედ ვჭამ და ვსვამო.

სიამოვნებით გაიკრა ჯიბას ხელი და ბუფეტს მიადგა.

— ეს რა ღირს?—უთითებს სარდინკაზე და მორიდებით ეკითხება.

— კაპეიკი,—მიუგო მებუფეტემ.

— რა იაფია—ფიქრობს მდიდარი.—ნუ თუ მართალია? მოდი კიდე ვიკითხო.

— ეს?—უთითებს გემრიელ ცხელ ხაჭაპურებზე.

— ესეც კაპეიკი,—ლიმილით მიუგო მებუფეტემ.

იმას სასაცილოთ მოეჩვენა მდიდრის განცვიფრება.

— მაშ თუ მაგრეა,—სიჩქარით წარმოსთქვა მდიდარმა,—გთხოვთ თეფშზედ დამიწყეთ ათი სარდინკა, ხუთი ხაჭაპური... და კიდევ...

იმან ხარბათ გადაავლო თვალები გემრიელ საკმელებს და ცდილობდა მათ შორის კიდე ამოერჩია საუკეთესო კერძი.

მებუფეტე ყურს უგდებდა, მაგრამ არ ჩქარობდა.

— ჩვენ ფულებს წინდაწინ ვთხოვლობთ,— განაცხადა იმან.

— ფულები გნებავთ? სიამოვნებთ მდიდარმა ამოიღო ოქროს ხუთმანეთიანი.

— ინებეთ!

ატრიალა, ატრიალა მებუფეტემ ხელში ფული, მერე უკან დაუბრუნა და უთხრა:

— არა, ეს ის კაპეიკი არ არის.

მებუფეტემ ანიშნა მსახურებს და ორი ვებერთელა ვაჭკაცმა გარედ გაიყვანა მდიდარი.

ძალიან ითაკილა და იწყინა ჩვენმა მდიდარმა.

— აი უბედურება! ფიქრობდა ის.—რა არის რომ მხოლოდ კაპეიკებს ღებულობენ?! საკვირველია..! ფულები უნდა დავახურდეთ.

თავდავიწყებით შირბის ის შვილებთან და სიზმარში ეჩვენება და ეუბნება:

— უკან წაღეთ თქვენი ოქროები. ეს მე არ გამომადგა. ამათ მაგიერ ტომარში კაპეიკები ჩაყარეთ, თუ ჩემი დალუბვა არ გინდათ.

შეშინებულმა შვილებმა მეორე დღესვე შესრულეს მამის ბრძანება, საფლავიდან ამოიღეს ოქროთ სავსე ტომარი, ოქროების ნაცვლოთ კაპეიკებით აავსა და კვლავ მამის საფლავში ჩაუშვეს.

— ახლა ხომ მაქვს! აღტაცებით ყვიროდა მდიდარი. მიიბრინა მებუფეტესთან და საჩქაროთ შესძახა: „მიშველეთ, მალე მომეცით, სიმშლით ვკვდები“.

— ჩვენ ფულს წინდაწინ ვღებულობთ!—ჩვეულებრივი სისასტიკით მოუჭრა სიტყვა მებუფეტემ.

— ინებეთ, ინებეთ!—აჩეჩებს ხელში მთელი მუქა კაპეიკიანებისას.—მხოლოდ, გეთაყვა, ჩქარა მომეცით.


შეხედა ამ ფულებს მებუფეტემ და გაიღიმა.

— მე, როგორც ვხედავ, იმ ქვეყანაში ჭკუა ვერ გისწავლია. ჩვენ მაგ კაპეიკები როდი გვინდა; ჩვენ იმას ვღებულობთ, რომელიც სხვის ხელში გაქვთ ჩანადები. მოიგონეთ ოდესმე თუ მიგიციათ მათხოვრისათვის, შემწეობა თუ აღმოგიჩენიათ ღარიბისათვის?

დაუშვა მდიდარმა თვალები ძირს და დაფიქრდა. ის თავისდღეში ღარიბს არ დახმარებია და არასოდეს მათხოვრისათვის სამოწყალო არ მიუცია.

ორმა ვებერთელა მსახურმა მდიდარი გარეთ გაიყვანა.

მ. კაკაბაძე.



3 0 3 0 3 6 0.

შუალამეა, სიბნელე გამეფებულა ყველგანა, მიწყნარებულა ყოველი, ძილს მიცემია ქვეყანა. გარს მებგვეიან ფიქრები, აღმშფოთებელი სულისა,—



სატრფო ვიგონე, პირმთვარე,
 ამტირებელი გულისა,
 მისი პრა ვიგონე სიშორე,
 გამიორკეცლა ფიქრები;
 დავჯექ, ვიტირე, ჩაგრულმან
 გულს მიუმატე წყლულები.
 ფრიად დავლონდი კვლივად,
 რა მომემატა ნალეელი;
 სატრფოს დავეძებ, — სიშართლეს,
 ვერ გავხდი მისი მნახველი.

ვეძებ, ვერ ვნახე... ვიპოვენი,
 მოვიკრებ ძალა-ლონესა;
 ვიპოვენი, კი მაქვს იმედი,
 შე გულის თანამგრობელსა.

მ. ლაღოშვილი.

შესანიშნავი სურათები



სატანა, კაშისი ნასატი.

ოლონდ მოკამს უსალმუნო!

მიჯობს მოკველე სიშართლისთვის,
 გამეგმიროს მტრისგან გული;
 სჯობს ცოცხალი ნუ ვიქნები,
 ეცო მარად განკიცხული.

— ესე იგი... მოკველე ბრძოლის ველზე
 გამწარებულ-დატანჯული,
 ოლონდ მოძმეს უსალმუნო,
 — იმღევა შორს დარდი-წყლული

შაქრო ნავთლუდელი,

— იმღევა...
 — ესე იგი...
 — ებრძვ...
 — მოთხრო...
 — მესანიშნავი სურათები.



მეტეფიანების ძებნაში, რაშკრასის ნასატი.

მითოა არჩავენები.

სუბალმედიის სისხლეს საღისე ზღვასავით აწედა,
 რივი შადს, რივი შედის, სოკი სახლისკენ ბრუნდება.
 ტრთახუთში არეუიან ცაღინდრთხან — ჩხოსსესობი,
 უებრა სოციალისტნი და ქუხური ძმა-ბიჭები.
 მარქს-რევოლუციონის გულა დაშტელები პრძანდებათ;
 თავი მოაქვთ სამსახურით, ვართსეობით დაძვრებთან.
 „რავდენი ჩავჯექ ესე?“ — ჯერეთ სწამი, შენა-თედო?
 „სდა დიხადის ზაკეთი ყუთში უნდა ჩავსკედო.“
 „ჯიძერ ზაღტო, ფაფასინე ზატარა სწით-მე მათსოფე.
 — მდა, ვაჟო! მომე ჩხოს, წულაც, — ჯერეთ მე მადრავე!
 შეძერა ესე, შეძერა თედო, მიჭყვას მისო და ჯრატო,
 სხვა ბეურა მათნი; ზაკეთი თათამ ოთხი-სუთი ჩხადო.
 ბიუდეტნას ზატრანნი კი სასღში ღვინოსა სწრუშავენ,
 ან ღოტო-კარტს ჩხავდამიან, ან მხარ-თეძოზე სვინიავენ.



დასულნი მათ მაგიერათ თვის კანდიდატებს სწერავენ და მათ სადებუტატო გზას დიდებულ კარლს უგებრავენ. არ ზოგავენ ცდას და ხერხს, უნდათ ლელა გაიტანონ, რომ კარლსთან ბეტრე ებედი ამჩნეველათ გაიყვანონ, და მათ მრთელის სიმყარის ერთათურთს მუშათ ზარტისა, მარქისა ზიბშიის, კუჭის მტრეობისა სარცად-დემოკრატიას, აბრუ-გატეხილს ფალაუნსს, სხხელბ კვლავ აღუდგინონ და უომრათ გამარჯვება ნადართ ქვეუჩას ამცნონ. გამარჯვებს! ვაშა, ვაშა! ვაშა კარლსს ბეტრეს ვაშა! ვაშა ვაშა, სურვილმა ნამუსია თუ დასწისლა, დამლაშა, ცეკვამარჯოს წუსუდებსა დიდს კარლსს სადებუტატოს,

მის რასს, ჭკუსს, ცადნას ცატა კულწრეელობაგ მიუ-
 მასინ, იქნებ, მოინახოს ცადდა თვის მტრეობისა და შეიგნოს, რომ ეშა მარად მტრის თვის ბატონისა. რომ ეშა, ბატონით ნატჩხვი, თავდადწევას მუდამ ცდილობს...
 ვინც ამს წინ აღუდგება, ის ბრმად, უტეინოდ ცადვილობს.
 მხოლოდ დამაზი სიტყვების თავიმოწმებით რახარუხი არა კმარა: დამაზი სიტყვის წამალი არის—მარწუხი!
 (იბრუნება მძიმე იულოვ) კვიმატი.

შესანიშნავი სურათები.



სამსონ და დილილა, ექნის ნასტია.


მოპაზორდი, მათს ვარ მოვითამა!

რათ მთელავ ფეხქვეშ, უღმერთოვ,
 რათ მრისხავ, რა დაგიზავე,
 რათ მტანჯავ, შენთვის როდისმე,
 განა, მიქნია სიავე?
 რაცა გამაჩნდა,—წაიღე,
 წამართვი ყველაფერია!
 ეს ქონი დამარჩა მარტოვა
 და ესეც შენი ხვედრია?!

...
 ვერა, ვერ მოგცემ; თუნდ მომკლან, როც
 კოილოვ მაჩვენონ დღესვე სამართი; თუ პაბორო თუბა
 იგობა მიშველოსა, მშვიერს ბალოებსა, ვ სმცნა თუ
 იუბა ნი განა, ვარ უნდა საფარო?..
 რაც რომ ვიტანჯე,—მყეოთა,
 ასე კი სიტკობლივ მწყურთა; უნ თუ იუბ
 ამომპოვოდი, აღარ გემონვი,—
 ჩვენს შორის მტრობა-შურთა.

ველარ გატარებ აწ ზურგით,
დავსუსტდი, არ მაქვს ძალია,
მომშორდი, მეტს ვერ მოვიტომენ,
გულზე მომედვა ალია!..

გ. ლაღოშვილი.



ს ც ე ნ ე ბ ი ს ც ე ნ ი ს ა თ ვ ი ს .

ს ი მ ვ ა რ უ ლ ი .

(გურული გლეხის ნაამბობი)

ახალ თაობა, ახალ თაობა ვიძახეთ ძამია და ამ ახალ თაობის ძახილში ციცვევებიც გადაგვერია, ქმარს ისეთ ირჩევენ თავიანთ სურვილით, რომ დედ-მამას სულ აღარაფერ ეკითხებიან. თუ რამე გაუბედეთ და უთხარით ახლანდელ ჩვენს ცინცრუკა-ლებს იმ წმასვე მოგაყრიან თავზედ სიტყვებს, სიყვარულიო, თანხმობაო და არა ძალ დატანებითი ქმრის წაყოლაო და რა ვიცი რას არ ბუტბუტობენ... ერთი ციცაი მყავდა, თქვენი ჭირიმე, და კაკალი გულით და სულით მინდოდა იმისანა კაცის-თვის მიმეთხოვა, რომ მქადის ქმევა მაინც შეძლებოდა. ვფიქრობდი ჩემს ჭკუაზე გაიარს ჩემი შვილი, ურჩობას როგორ გამიბედდეს მეთქი, მაგრამ გამიბედა კი არა მეტიც მიყო და ასეთ წამომძახა: რა შენი საქმეა ჩემი ქმარის ძებნა ან ვინ დაგავალაო. მე თუ ქმარი მინდა თვითონ მე გამოვირჩევ და თქვენ ნუ შეწუხებთებითო; მე სიყვარულით უნდა გავთხოვდეო. გვიგონა ეს სიტყვები ჩემმა დასაფსებელმა ყურებმა თვარა, ტარაბული დამესხა თავში, გავცოფთი კილამ, წამოვატანე ნიგუზალს ხელი, და გამოვეკიდე, მაგრამ გამექცა, ველარ მივეწიე, რომ მივეწვიოდი იმ გაცოფებულ გულზე, ვფიცავარ დედა ჩემ მარკას, უსიკვდილოთ არ გაუშვებდი. როცა გული კარგად დევიშოშინე დაჯგედი სკამზე და ფიქრებს შევექეცი და ვეუბნებოდი ჩემს თავს: მართალია რომ ამბობენ მეორედ მოსვლა იქნებაო. ჩემი გომბიო ამას გამიბედამდა მიდღეში ვიფიქრებდი? ამ ახალ თაობამ მაინც მთელად წაგვიხთინა ციცვევები, გათამამდენ უმფროსი არ იციან და უმცროსი, დედას არ ეკითხებიან და მამას, ისეთ მიკუნტრუშობენ სადაც უნდა იქინეი. აბა ერთი მითხარი, ძამია, რეზაი არ გათამამდებიან, ახალ თაობას დაუჩემებია ქალი და კაცი ერთიაო და ჩვენმა გომბიოებმაც ქეზი მოიდევს და არავისი აღარ ეშინიათ. ყველაფერი მომწონს ამ ახალი თაობის და ამ ერთს ვერ შევეგუე, რომ ამბობენ ქალი და კაცი ერთი უნდა იყოსო. რას ქვია, ღმერთო მომკალი, ქალი და კაცის ერთიანობა, ქალმა სახლში მქადი უნდა გამოაცხოს თუ იშო-

ვოს და მოქუას უნდა მოუაროს, აი ეგ არის იმა-თი საქმე. დაუჩემებიათ—მიყვარს, მიყვარსო და მიყვარული სიყვარულიო, და იმას კი არ ეკითხებიან ბენ მქადი რომ არ აქვენ საქმელად. ეს სოციალ-დემოკრატია, ეს სოც.-რევოლიუციონერიო, ესო სოც.-ფედერალისტიო, ეს ანარხისტიო აქარტა-ლებენ ენას და არაფელი არ გაეგებათ იმათი ბი-ბური. ჩემ ციცას დაუნახავს სადაც კურმუხ-ჯან-დაბაში სოციალ-დემოკრატია ვილაცა და შეუყვარებია, დაუჩემებია მიყვარს მიყვარსო, იმას თუ არ წავეყვი თავს მევიკლავო, ვერაფელი ვერ შევაგონეთ. მშვიტ-მწყურვალი ვიარო, შიშველ-ტიტვე-ლიო, ოღონ იმასთან ვიყვეო. წმინდა გიორგო და ნათლისმცემლო, შენ დამიცევი! ხომ არ გავიჭებულა ჩემი გოგო მეთქი, ვამბობდი, და ამა-სობაში ვილაცამ ჯარგვალაზე მოარაკუნა კარებზე-ვინ ხარ დაუძახე და იმან ასეთ დამიძახა. „ია პრო-პაღანდისტი, დვერი ატვარიო“. რუსულად ლაპარაკი რომ გვეიგონე, კაზაკები მეგონა და ციცას უთხარი გაპარულიყო უკან კარებიდგან. თურმე ნუ იტყვი ძამია, ჩემ ციცასაც ის უნდა თუ გააპარებ და მე რა ვიციოდი, ის ქე მითხრა ვინც იყო. ციცა რომ გვეიდა გარედ პაწა ხანი გვეიდა და კარი გაულე რუსულად მოლაპარაკეს, გავალე კარები, მაგრამ ჩემმა მტერმა დეინახა მე რომ დევინახე; ეს ჩემი ცინცრიკელა გოგო და ეს ყმაწვილი ერთი მეორეს ეთამაშებიან და კოცნიან როგორც კოლქმარნი ერთმანეთს. დევინახე ეს თუ არა წამოუსვი ჯოხს ხელი და გამოვეკიდე ამ ყაზილარს ვინცლა იყო, თურმე პროპაღანდისტი ყოფილა. გამოვეკიდე რაც ძალი და ღონე შემწვედა და მივეწიე გაბილას ალაგესთან, ალაგეზე გადახტომა კი მომასწრო, მაგრამ ერთი ისეთ კი ვსდღუზე ჯოხი ზრუგზე, რომ ვაიო შეიძახა და მოუსვა და მოუსვა სირბილს, ისეთ კი მირბოდა რომ შევარდენას თოხარკიან ცხენს ბევრად სჯობნიდა.

ალაგეზედ რომ გადახტა ის ვინცხა იყო წერილი დაუვარდა იქვე. რომელიც თურმე ჩემს ციცაიზა უნდოდა მიეცა. გავხსენით ეს წერილი და წვევიკითხეთ ასეთი ლექსი:

ჩემო გვრიტო, ჩემო ტუჩფავ ლამაზო,
შენთან მოველ დღეს მე სანახავადო
მსურს შენთანა მუსაიფი აღერსი
თუ კი მომცა ნება მამა ალექსიმ...
მაგრამ კარგო, გვრიტუნიავე, აღმასო,
მამა თქვენსა ვეტყვი სიტყვას ლამაზსო
და გავძლები მუსაფით შენთანო,
რომლის მერმედ გაულდები ჩემს გზასო.
ეხლა ვიყავ, ჩემო კარგო, ეწერში
და იქ მქონდა ლაპარაკი ჩემს წრეში.
ვკითხულობდი კაპიტალსა მარქსისას

პატარა ფელეტონი.

ჯვარიტა და მუხბიტი

და უხსნიდი ჩვენს პროგრამას მიწისას. მაგრამ კარგო, გვრიტუნიავე, ლამაზო, ერთმა გლენხმა ტყავი კალამ გაჰაძრო; ზედ წამოხტა შემომყვირა, მიბღვირა და ეს გვითხრა—რასა ჩმახვე მაგასო. თურმე გლენხი, ნულარ იტყვი ლამაზო, დღეს არ ისმენს ქადაგებას ჩვენსასო, და იძახის მიწა გვინდა უფასოდ და თქვენ მდიდრებს უვსებთ ფულით ქისასო. — ეს ლექსი რომ წავიკითხე მაშინ კი ვთქვი, რომ ჩვენი გლენხების საქმე უკან წასულა თქო და ვინატრე იმის ხელში გდება ალაგეზედ რომ გადამასწრო... ასთე რომ მგონებოდა სუმთლა რომ ქობულეთამდე ერბინა მაინც დავეწვოდი და სიყვარულსაც ოხრად დავატიებდი და მარქსის კაპიტალსაც, მაგრამ გაუწყრა მისი გამჩენი, გამიშვა ხელიდგან. ასთეა ჩემო ძამია ახალი სიყვარული, ახალი თაობა და ცოციალ-დემოკრატია, მე იმას ვჩივი ციკა რომ გადამირიეს.

ასკანელი პროკოფია.



ძმობა, ერთობა, სიყვარული.

იგრგვინე ცაო, გაშალე პირი, ცეცხლად მოედე მთელ ქვეყანაზე, და მით წარხოცე უსამართლობა გამეფებული დედამიწაზე!., იქეკე შეხო მრისხანებითა, მოსპე ამ ქვეყნად მტრობა და შური და გაამეფე ტანჯულთა შორის ძმობა, ერთობა და სიყვარული.

ა. თალაკვაძე.

მ უ გ ე ზ ი ნ ი ა ნ.

თუნდ რომ თვით ზევსი განრისხებული ხალხს მოველინოს განსაკიცხველად, ნულა შეკრთები, მე მიგულვდებ, — შენსა მეგობრად და შენს მეზარველად. თუნდ რო გრიგალმა მოსრნას ქვეყანა, ადგილს ვერ ჰპოვდე თავ-შესაფარად, თვით უფსკრულშიაც ვპოვებ კუთხესა შენს საბინადროდ და დასაფარად. თუნდ ხალხის მოთქმა, შურისძიება შენ რომ გესმოდეს გლოვისა ზარად ნუ გეშინიან. მათს მრისხანებას მიგამჩნევინებ არად და არად!

ჰამლეტი.

ვინა სთქვა, რომ „ქართველი ესდევია“ არა სცემს პატივს ქართველების ძველს წეს-ადათს? ეს ბ-ბო, ცილის წამებაა, ისეთი ცილის წამება, რომელიც არამც თუ მათთვის, არამედ მათ მოწინააღმდეგეთათვისაც კი თვალსაჩინოა! ესაა მათზე მოგონილი ჰორი და ეს ჰორი, ეს ცილის წამება უნდა გაითანტოს, უნდა გაიბნეს ჰაერში, ვითარცა მტვერი გრიგალისა მიერ. და უპირველესათ ყოველივე ეს განაბნიეს ჰაერში თვით „ქართველმა ესდევებმავე“, განაბნიეს და მით დაუმტკიცეს ქვეყანას, რომ იგინი სპეტაკნი არიან, რომ იგინი მართალნი არიან, ოდესაც სწამებენ მათ ქართულ ზნე-ჩვეულების უპატივისცემლობას, არათ ჩადგებას.

მერე როგორი წეს-ჩვეულების? ისეთის, რომელიც თვით ქართველობამ კარგა ხანია უარჰყო ეს გახლავთ ყეინობა! ცერემონია ესე იმართებოდა ხოლომე დიდმარხვის ყოველ პირველს ორშაბათს. მათ კი უფრო ადრე მოახდინეს იგი, უფრო ადრე შეუდგნენ რეპეტიციებს. რეპეტიციებს მეთქი ვამბობ იმიტომ, რომ ნამდვილი წარმოდგენა ჯერ შორს იქნება. იგი გაიმართება მხოლოდ მაშინ, როდესაც ყოველივე მათი არტისტი უკვე საკმაოდ და თვალსაჩინოდ დახელოვნდება თვის როლში. ხოლო დახელოვნება კი მათ დაიწყეს ამ თვის თექვისმეტში „წერა-კითგვის საზოგადოების“ კრებაზე. ამ კრებაზე იგინი შემოვიდნენ ცოფმორეულს აქლემით, პირშემურულებს მკლავნი გადაწეულნი ჰქონდათ და ხელში შახაბაზის სკიპტრა ეჭირათ. თხოულობდნენ ხარკს, მუშტნი მათნი განემართნენ მტრისა კისრებისაკენ, და ქუსლნი მათნი ტლინკვასა შვრებოდნენ. იქეკეს „ფინანსებსა“ ზედა, მაგიდასა თავმჯდომარისა ნძრევა უყვეს და რა შეასრულეს წადილი გულისა თვისისა, გამარჯვებულნი განიბნიენ ქალაქსა, რომელსა ამცნეს ყეინობა თვისი.

ნუ თუ ამის შემდეგ ეთქმის ქართველ ერს, რომ იგინი არ სცემენ ძველ-წესს ადათებს პატივს! და თუ ამას იტყვიან? ყოველივე ეს ცილისწამება იქნება მათზე! ამას მოწმობს მკლავი მათი „კულტუროსანი.“

* *

კურთხეულებმაც ამ კვირაში აკურთხეს ჩვენი ქვეყანა. 50 მეტი მაღლი შეიკრიბა ექსარხის ლობარობით ქ. ტფილისში. ამავე დღეებში ნიშნათ იმისა, რომ უმანკო ანგელოზები გვეწვივნენ ქალაქს საკმეველის სუნი ასდიოდა. ცის გახსნასაც ველოდდით, მაგრამ, ეს იმ ორი ეშმაკის ტალაკვა-

დის და ჯალიაშვილის ბრალია, რომელნიც რაღაც ჯადოქრობით ანგელოზთა შუა მომწყვდევლიყვნენ. ამ ორმა უჩინა დააბნელეს ტატნობი კურთხეულე-ბისა. შეიქნა ბრძოლა კამილაგა-სკუფია, „ნაბედ-რენიკებისა“. „კამილაგა“ ამტკიცებდა გლეხის ამბრიდან ღვდელნა პური კამილაგით უნდა მიიწყოს, ხოლო დიაკვნებმა კი სკუფიითო. (კამილაგა ვითარცა საწყაული ოთხჯერ დიდია სკუფიაზე).

„ნაბედრენიკი“ ძველის კანონით აკანონებდა როგვრდზე ჩამოკიდებული ჩანთა ღვთისაგანაა დაწესებული და მასშიგან არ უნდა გამოილიოს არცა ერთკემელი და არცა ბარკალი ჩლიქგაყოფილ პირუტყვებისაო.

ამ უსულო სავნებს წამოგსარჩლენ სულიერნი და ყველაზე უფრო კირილე ღვთისავაროვი და ანთაევი; პირველმა მოისურვა აგრეთვე „ღვთის მადლს“ პოლიციაც დახმარებოდა და მათის შემწეობით აელოთ ხვარბალი, ქანქარი და ბარკალი. შეწვევითა ღვთისათა და ბოქაულთათა ილოცეთ ქრისტიანენო კურთხეულთათვის!

როგორც ხედავთ, ბ-ნებო, „ეს დეკებმა“ „კურთხეულეებთან“ ერთად არ უმტყუნეს ძველს ხნე-ჩვეულეებს. მათ პირნათლივ შესარულეს თვისი მისსია წინაშე „ხალხისა“, ხოლო განსხვავება აქ „ტაქტიკაშია“ ერთნი ჯვრით, მეორენი მუშტით... ხალხის საცხოვრებლად!

პალო.



ღ ა რ ი ბ ე ბ ა .

(მიბაძეა).

(ვ. მდგნი თავადი ვ. ე — ვს და კ. მ — ძეს).

შენ ყაზახო გოგიცლა, ყური ღამიგდეო, რაც გიბრძანო გაიგონე, ჭკურთ მისმენდეო; მემსახურე სიკვილაშდის, მარად ყოველ დღეო, სიტყვა აღარ შემობრუნო, როს ჯოხს გირტყამდეო, თუ მათრახი გითავაზო, ზურგი მიჩვენეო!.. ხომ კი მიცნობ „კნიაზი“ ვარ, დიდი მეგვარეო... შენ ყაზახი, მე თავადი, კარგათ შემხედეო!.. რასაც დასთეს და მოიმკი, მომიტანთე მეო!.. შენი შვილი, შვილის შვილიც, მონათ მომგვარეო!.. სახლში შვილი გიკვდებოდეს, ჩემსას იმრომეო, ასე ყოფილა მარადით, ხდმ გაიგონეო?!..

„ამხნაგო“ არ წიმოგცდეს, ბატონს მეძახდეო, კაპატივი ეცი მღვდელ-ბერებს დაემორჩილეო, „პრისტავს“, „სულიას“, მამასახლს თუბ ქვეშ ეგებო,

რაც მოგთხოვონ აუსრულე, მათ მხეს ფიცადდეო, ყველა შენზედ ბატონია, შენ მათ არჩინდეო, მათ ეძინოთ, ფუფუნებდენ, შენ კი მოიშობდეო, შიშოლს, წყურვილს და სიცივეს გადიტანდეო, „ერთობა“ არ გამაგონო, რჯული იწამეო, „ბუნტოვნიკებს“ ჩამოშორდი, მათთან ან დადგეო, მიგვითთე, მიღვიყვანე იმათ სახლამდეო, რაც რომ გითხრან, გიქადაგონ არას მალავდეო, მათ ხნე-ჩვეულეებს საფრთხეს, არ იჩემებდეო, კვალში მიყვე არ დაინდო, გძულდეს ამაგდეო, ახალ თაობა დასწყვედე, ძველი იწამეო!..

დაგმე ყველა პარტიები, შორით გააგდეო. ჭეშმარიტ რუსთა სახელი დაიმსახურეო. გიყვარდეს პურიშკევიჩი-ილიოლორეო!.. ღუმროვინ-ტიმოშკინები, აქე-ადიდეო. მერიდე ყოვლის მხრიდანა, არ გაგირისხდეო, თუ რამე შეგცდეს მითხარი, „კნიაზო“ შემინდეო, ბიქო მიყვარხარ იცოდე, შენც მე გინდოდეო, ჩემზედ თუ რამ გითხრან სხვებმა, ჰკარ და განავდეო, არ დივიწყო ეს მცნება, კუბოს კარამდეო. სული აღარ წაწყვიდეო, მე თუ გიყვარდეო, თორემ უფსკრულში გადახვალ, ვერ გიშველი მეო და ბოლოს გვიან იქნება, რასაც ინანდეო...

ბოშა.

იუდასისი გლორია გლოხს უფლება და მოვალეობა



ქალი. რადას, აუფანებო? ჩამაცვით!..

ვაჟი. ჩაწმა კი რადას გასდარდამ შექედლას, რა ბედნიერი ვიქნებოდა!

ქალი. მერე ვინ გაშდით? შემირთეთ და მამინ-გახდის უფლებაც გქნებთ და დასურვის მოვალეობაც!..

შესანიშნავი სურათები.



ზაფხული, ბუგეროს ნახატი.

ქალის მკრნე.

რკინის გზის დაოჯიჩი შავის ბუღკაში უმასპინძლდება მახლობელ სოფლიდან ჩამოსულ ნათლიას.

— მართალია ჩემო ნათლია, მე პატარა კაცი ვარ, და კიანჭველასავეთ ვისაც სურს ყველა გამოელავს, მაგრამ ძალა კი დიდი მაქვს; აი ეხლა უნდა გამოიაროს მატარებელმა და მე თუ მოვიწურვეფ; შემოძლია მატარებელი გაეჩეროს!..

— ამას კი შეუძლებელს ამბობ, მი-ეგო ნათლიამ, აბა მგოდენა ძალას შენ ვინ მოგცემდა?

— ძალას ვინ მომცემდა? აი ეხლავე დავიმტკიცებ! ვინც უნდა მოდიოდეს იმ მატარებლით, გინდ გენერალი, გინდ ურიადნიკი, ჩემთვის სულ ერთია. მოვისურვებ და მატარებელიც გაჩერდება!

— შეუძლებელს ამბობ ნათლია, აბა ეს როგორ დავიჯერო?

— მაშ თუ არ გვერა, დავნაძლევდეთ და მშენ ნახავო! — მიუგო დარაჯმა დანაძლევდენ. დარაჯმაც აიღო წითელი ბანი რალი და აცნობა მით მაშინისტს: გზამ სახრთხოლო არისო. მატარებელიც შეჩერდა. ხალხიც ვადმოკვირდა და შეიქნა გამოკითხვა: სასადა? როგორ? რა მანძილზედ? როგორ მოვიქცეთ? უკან დავბრუნდეთ და სხვ. და სხვ. დარაჯი კი არხეინაა ილი-

მებოდა და თავმოქონედ ნათლიის სახეს მისჩერებოდა.

— ეხლა კი დაიძარით! ავახაკები და ყაჩაღები გაიფანტნენ. ყველაფერი რიგზედ არის! ამ წვიმდებდა ჩუმად დარაჯი მთავარ კონდუქტორს და მაშინისტს და თან უხაროდა, რომ ნათლიას სანაძლეო მოუგო. აბა რალასა დგეხართ დროისით გასწითო, მედიდურათ შეგხმალა დარაჯი შემანქანეს.

ტიტიკო.

დიდის მოკრძალებით ვუძღვნი.

ნაყ უარღანას.

ერთხელ დაფიქრდი, ასჯერ დავგვირდი თავისუფლებას.

რომ ერთათ ერთი, შენ მუშათ ღმერთი მოგვცემ უფლებას.

ღმერთათ იწოდდი, კი არ იცოდდი სასწაულთა ქმნა

და შენ ღმერთობის, ძმობის, ვროტობის მხოლოდ სიტყვის თქმა;

გეკერა პირზე და მით ყრუ ხალხზე მარქსის სიტყვებით;

პროლეტარებო სულ ყველა ქვეყნისზე მეტრადით, შექარბით;

გახიხარეთ და გმობიარეთ ყველა ჩვენი

რაც ჩვენ ღმერთებსა — მარქსს და ენგელსსა გაუჩენია.

რასაც კი ჩვენი კეთილი თვალი ხედამს ნივთებსა

ყმას, სახლს, ბაღს; ბატკანს, თაროსან თახჩას, ზღვას და ზვირთებსა;

სუყველაც წინათ ჩვენი იყო; თებგუნ ჩვენივე იქნება

დღეს ანუ ხვალე, დიახ სულ მალე თუ დაგვიმტკიცდება.

და ვით იაზში — სოციალიზმში გვეწვევა ხვალე,

მე გეუბნები — ბუნდიერები იქნებით ზალე...

მაგრამ სიტყვებით ხალხი კი არ გაბედნიერდა

სად ხარ სირცხვილო, რომ საქართველო მთლათ გავგვიხრდა.


და ხალხიც ყველგან — თუ გრძობო შენგან დახაგრულია,

შენ ჩანგის ქლერაც, ერთობის მღერაც წყეულ-კრულია.

ბევრი ბრმავდება — კიდე გენდობა შენც კარგა იცი,

მაგრამ იკმარე — ხალხს რაც ის მწარე ტანჯვა მიეცი.

უჩინარიძე.



საზოგადო მილოცვა.

გაზ. „ცის ნამს“.

მე შენსა საფლავს ვეძებდი,
ვერ ვბოვე—დაკარგულიყო,
„მიმინოს“ მივეხმატებოდე:
სად არის შენი სულიკო?
ერთს მეპურესთან მიველი,
მრგვალიათ რო ჩამოსხმულიყო,
თანამშრობლების ქანქარზე
ეს რედაქტორიც ყრუ იყო!
მაშინ ვსთქვი: ვაი თქვენს თავსა,
ეს მოჩვენება თუ იყო,
კუტი რათ მისდევ ქურციკსა,
შე თავხედო და შე ბრიყო!

ვ ა ზ რ ე ბ ს.

ვაქრებო, ნეტავი ჩვენა, ჰარიარალი,
დღეს მოგვეცა შეგება ლხენა, თარიარალი.
ერთი ორათ გავაძვიროთ, ჰარიარალი,
ჩვენ ვიცით ამის წამალი, თარიარალი!..

მძსპროპრიატორებს.

საშობაოთ ფული გვინდა,
ვიქეიფოთ ცოტა ჩვენა,
გავიტაცოთ და გავიქცეთ,
ჰერი, ბიჭო, შინისკენა!

ლევანი-მტევანი.

„ნიშადურის“ ხვედრი

ოდეს იშვა ჯოჯოხეთით
ვირ-ეშმაკთა მტრობა-შური.
მათს ურჩობა სწინააღმდეგა
მედგრად ცხარე „ნიშადური“
ვინც კაცობა უარი ჰყო
და შეიქმნა უწმინდური
იმას ძალზე სწვას და სდაგავს
ერთის ყნოსვით „ნიშადური“...
ვინც ბოროტად კალამს ხმარობს,
ვინც დასჯაბნა უბედური,
იმათ სწრაფად მოარჯულებს
ერთი წვეთი „ნიშადური“...
ვინც შელახა სიტყვა ზრდილი
გზა ირჩია „ეშმაკური“ —
ჩაქოლავს და ჩააფოლებს
უმოწყალოდ „ნიშადური“..
ვინც წუმპესა და ტალახში
ცეკვა იწყო უცნაური,
იმათ ბეწვი აეტრუსათ,
როს კულს ესხათ „ნიშადური“

შ. ებრალიძე.

* * *

მითხარ ყვავილო,
რამ დაგაქენო აგრე უდროვოდ?
ჯერ აგრე ნორჩსა
ვინ შეგახო ხელი უწყალოდ?
ვის მოეხებით,
ვის უღეთო ხელით ხარ დაჩაგრული?—
ვით მე საბრალო
უსამართლობით ვარ დატანჯული!

რ. ქ—ია

„ეშმაკის“ გოდება.

(იობის ხმაზე).

ჰო, იროდი, ვინ მოგიხმო
ჩემს შესამუსრათ,
ჩემს სისაძაგლის
და მრუშობის
შენ აღსანუსხათ!
ახ, რათა, რათა,
ვეოფილიყავ ისევ ჩუმათა,
მე რა ვიცოდი
მომეჭროდი ასე მტრულათა!
რათ გამიფანტე სანეტარო
ტკბილი ოცნება,
რისთვის მარგუნე
პანდურისა მე ამოცხება!?!
გახსოვს: შეგთხოვდი
ძმობასა და მეგობრობასა,
ჩემთან ხელი-ხელ გადაბმასა,
მუშაობასა!
შენ უარ ჰყავი,
ჰოი, გაქრეს ის დღე და წუთი,
რომ ამის შემდეგ
კამათისა მოგეც საბუთი!
აწ რაღა დავრჩი!
მე მასხარა, ხმა ხრინწიანი,
ვაი იმასა, ვისაცა ხედეს
ჩემებრ ზიანი!

ნიშადური.

პროპინცია.

ნახული და გაგონილი

თელავი. დიახ, მხოლოდ იმას ვიტყვით თე-
ლავეზე, რასაც ჩვენი თვალთ და ყურით გავიგო-
ნებთ. ნუ დაგვემდურებიან თელაველები, თუ ამით
პატარა მაინც ფარდა აეხადა მის კარ-ჩაკეტულ
ცხოვრებას. ნუ გაგვიცხავენ ქალთა ზავედენის
„კლასნი დამები“, თუ იქაც შევიხედეთ და მოს-
წავლეთა ცხოვრებას შევეხეთ; ნუ გაგვიწყრებიან
სამოქალაქო და სასულიერო სკოლის პროფესორე-

ბი თუ ამ სკოლების, მათი რწმენით, ავტონომიაზე ვსტყვიტ რამე; ნუ გაგვირისხდებიან სამინისტრო, სამრევლო და სამხთო სკოლების პედაგოგები, თუ მათაც ვეწვიეთ და მოვაცდინეთ, ვინაიდან არ ეცა-ლებათ, ზოგი ბალღებთან იქნება შინ, ზოგი-კი სხვაგან სასწავლებლად...

რასაკვირველია არც თელავის კასების სარ-ბიელზე საზოგადო მოღვაწეს, დამსახურებულ მი-ქელ-კასისტ ივან პავლიჩ როსტომაშვილს (ხან როსტომოვს) დავივიწყებთ, თავის ბებრების კა-ით არც სახელგათქმულ ორსულობის კასისტებს ტერ-ტერას და პატოს ცოლს. არც გათხოვება დაქორ-წინებისას--სიღამონაგვიანთ ნატოს, სემონოგვიანთ ნინოს, ხირსელაანთ კოტეს. (ესენი სულ თავის-თავის კასისტები არიან, და არა ხალხისა, ჩვენში-კი დარჩეს).

დიახ, მღ. შიუკოვის და სალოგიოვის სამარხ კასასაც გავაცნობ მკითხველს, რომელთაც ხალხის თქმით „ვიიგრიშნი ბილეთი“ ჰქონათ, 200,000 მან. მოუგიათ და არ აჩენენ, რისთვისაც ეს ექესი თვეა მიწერ მოწერა აქვთ გამართული, ადვოკატიც კი დაიჭირეს, მაგრამ ამაზე შემდეგ.

ეხლაკი ის სამარხი კასებიც უნდა მოვიხსენიო, რომლებიც თითო სიკვდილზე 125 მან. მეტსა ჰკრეფავენ და სად მიდის ეს ფული! ეს იმათ ჯი-ბის საიდუმლებათ რჩება.

ექვ გარეშეა არც ქალაქისთვის მიძინარა და თავიანთთვის მღვიძარა მამებს დავივიწყებთ მათი მამინაცვლით--ლოლოვათი, რომელიცა ყავთ და მამები-კი გაიძახიან--არა გეყავსო; არც აქაურ მო-ხელეებს თავის ორეტაჟიან კაკარტებით და ბჭყვრი-ალა ვარსკვლავებით, რომლის კურსმა სუსხის გა-მო აიწია; არც აქაურ ახალგაზრდობას, რომელიც ინტელგენციის სახელით ინათლავენ თავს და არცა პარტიის ბიჭებს თავიანთი რეზიდენციით ე. ი. ფირუზას ბილიარდით და რეზოს პადელით; არც თელავის არისტოკრატის, დემოკრატის, დემაგო-გიას, პროლეტარის, ბურჟუაზიას და სხვათ. ერ-თი სიტყვით ყველას თავის დროზე წაუსვამთ ნი-შადურს. თელაველ ქალთაც ვეწვევით, ვინც-კი გასათხოვარ კასას გადარჩა, თუ რომ ლოტოს თა-მაშში ხელი არ შეუშლიათ.

მაგრამ!... მაგარი ის არის, რომ აქაურებს ერთი კარგი ზნე სჭირთ. დაიწერება თუ არა რამე მაშინვე ფაქტს თავს მიანებებენ და დაუწყებენ ავტორის ძებნას, მიწერ-მოწერას რედაქციაში და რადგანაც რედაქცია მათ არ აპყვება ხოლმე, მაშინ ნაცნობებით ცდილობენ საიდუმლოების გამოტანას. შემდეგ „დანოსს“ გააქრელებენ რედაქციაში და ბოლოს რასაკვირველია გოგოლის უნტერ--აფი-

ცრის ქვრისავით პირ-კატა ნაცემნი დარჩებიან ხოლმე. თუმცა არც მათი გვეშინიან, ბულოვარის კომიტეტი იყოს ჩვენთანაარს, თორემ ძვირის ვერც იტყვის ქორის მეტს.

ეს სხვანაირი კომიტეტი-კი არ გვეგონო მკი-თხველო და არ შეგვეშინდეთ. ღმერთმა დამიფაროს დემოკრატობისაგან, თუმცა-კი ლაკიროვანი ჩექმე-ბი და ლურჯი დიაგანალის შალვარი დასაწუნი არ არის, მაგრამ ისევ მარჯვნივ მდგომი ბულვარის კომიტეტი სჯობია. ეს ყველგან მყოფია და ყველა უწყებიდამ და წოდებიდამ იღებენ მონაწილეობას: სამხედრო, საფინასო, შინაგანი, ხელოვნებისა, ვაჭრობა-მრეწველობისა, იქ შეხვდებით: მოხელედ ნამყოფს, კუქ-მაძღარ ვაჭარს, გახუნებულ აზნაურს, მუცელ-დაფუკულ ფეოდალს და ბევრ უსაქმურთ. ესენი იყრებიან ბულვარში და უამბობენ ერთმა-ნეთს ახალ ამბებს.

აი სწორედ ამათში ვაპირობ მეც ჩაწერვას და მაშინ ქრონიკის სიმღიდრით არა თუ მეჭორე დედაკაცები, აქაური კლუბის წევრებიც კი თავიანთი ბანქოს თამაშით და კლუბის სკანდალებით ვერ მაჯობებენ. რასაკვირველია ეს ახალი ამბები ე. ი. ჭორიკანაობაა იმის მიზეზი, რომ თელაველები ვაზეთებს სრულებით არა კითხულობენ და იმის ნახევარიც არ იგზავნება აქეთ, რაც იმერეთის ერთ პატარა სოფელში ან დაბაში გაუგზავნიან რედაქ-ციები ხელის მომწერთ.

პაიკი.

ახალციხე ზნეობის სკოლა. თვე არ გავა ახალი ყავახანა არ გაიხსნას რაბათში (ქართველთა უბანია), სადაც ბიბლიოტეკის მოძულე ინტელი-გენტები, მუშა-მემამულეთა კლასი, სკოლის შეგი-რდები და სხვანი იყრიან თავსა სალაყბოთ, ამა-იმას სალანძღავ-საგინებლად, ნარდის და ბანქოს სათამაშოთ და საამისთანოთ. წარმოიდგინეთ, რომ 7-8 წლის მოწაფეებიც კი დიდი გულ მოდგინე-ბით უცქერიან უმფროსებს და ითვისებენ მათგან და ეწაფებიან ჩვენი ყავახანებს პროგრამას; ამის გარდა ამ უბანში ისეთი ალიაქოთია ხოლმე, რომ ბაზარში ვაჭრობა სულ ჩამქრალია, თუმც სა-მაგიეროთ თვალის გასართობათ ჩხუბები და აყალ-მაყალი ხშირია.

კუნაბეტი

ქობულეთი ქართველ მაჰმადიანთა თხოვნა. იმ დროს, როდესაც მრავალ საუკუნეთა განმავლო-ბაში ქართულ წერა-კითხვას და წირვა-ლოცვას შეჩვეული აფხაზები „უმალღესი პოლიტიკობის მოსაზრებით“ ქართულს პირი არიდეს და აზნაუ-რი ახალი აზნანი და სახარება შემოიღეს, ვითომდა

ეროვნული კულტურის აღსადგენად, ჩვენებური პარტიველ მამადიანებს შესაფერის თბოვით მიუძღროდ თავთ თავად აღზნაურთა საკრებულო საოფის; გვი-
შუამდგომლეთ სადაც ჯერ არს, რომ ჩვენს სკო-
ლებში დღეს დღეობით ქართული ენა განდევნი-
ლია და ცვადათ რომ ქართული ენა სკოლებში
შემოღებულ იქმნას, რადგან ჩვენი დედაენა ქართუ-
ლი იყო და თვით უძლიერესი მუსლიმც კარგი მ-
ლიდა იმის სიყვარულსაო, ესლა რა დავაშავეთ, რომ
მშობლიურს ენას გვიშლიანო.

ჭიჭინა



ქართველი მწერლები და მოღვაწენი



ილინ

პროფესორი ალ. ხახნაშვილი.

(მისი დაქვადეის ზედა, ცფელასის).

„უაჯაის“ გოდება.

დასწყევლოს „ნიშადური“ რომ სიოჟუ მ-
და იმისი მოგონე,

პირის განდადბილისში მგერ შინდღევეთ

ნორ, გნმე დავვარგე ძალ-ლონქი ინშინდ წა. აფრეგ

-ს ენტო გაჩენილანამ ქვეყნათაოტრეგ ინტამა

-უყდა მძულს მტე ყველა პარტიაოჟედა რაბრეცინ

ქვეყნის მხსნელი ვახლავაჟაბინშ იოყყან

იბნმე და დემოკრატია.

მეტე მყავს ერთი ძმობილი:

მეწაწინა თაგუნა; ეგაბიქ რიშნაკონ

სხვა პარტიის ვინებან ემტეოტ პოტოტ ნი

სეოტე ბაყაყიმო ვვარჯუნა. ბგჟ უღლობქ ინტ

ძიოტო ვთარეშობლით ჟორცხვთაჟა იოტრეგმენ

-წა მტე, სამა და წესტორია უღლობქ „ლიბერტამა“

ფენოაოტე ჟეოტინქ აბრამამ ათ ხმამა იოჟდა იბ.

ელექტრომბეკლავი ან. „სორაპანი“ მაღათვის კუნძული

წყეულმა „ნიშადურმა“
კუდიტ ქვა გვასროლია.
ყველას ცოტა მოგცხობ
„ნიშადურის“ წვეთები,
დავევრა ქორივით
დავეიფეთა ლმერთები.
ველარ გამოგვადგეს
ჩვენ ჩვენი „ეშაკობა“
ავისა და კარვისა
ერთნაირად შემკობა!..

რაჭველი შურდული.



შესანიშნავი ქანდაკებანი.



მონობის სტორკილი. უდასის ქანდაკება. პიეტრან

ებრა; იოჟეფან მომტრ ათ აფროიოტინ მძლბრე

-ოგინტე მითრატონიე მითრატონიე მითრატონიე

-რე მთხმე მითრატონიე მითრატონიე მითრატონიე

-იმ თხმე მითრატონიე მითრატონიე მითრატონიე

განცხადება.

ამ ნომერთან ერთად ეგზავნება ხელისმომწერო

ნიუშელერის რეზინის

გალაქების განცხადება.

ეგზავნება ნომერთან ერთად ხელისმომწერო
განცხადება ნომერთან ერთად ხელისმომწერო
განცხადება ნომერთან ერთად ხელისმომწერო

სახლი მუხრანსკისა, № 4.